



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 617/ს  
07/11/2023

617-21-4-202311071009



**შპს „ასკენგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ბენტონიტური თიხების გადამამუშავება) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ასკენგელ ალიანსის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ბენტონიტური თიხების გადამამუშავება) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2017 წლის 14 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. დვავში შპს „ასკენგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ქარხნის (ბენტონიტური თიხების გადამამუშავება) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო 2023 წლის 12 სექტემბერს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №458/ს).

2023 წლის 27 სექტემბერს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს მიერ განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვავში შპს „ასკენგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ბენტონიტური თიხების გადამამუშავება) საწარმოს ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგად, დადგინდა, რომ შპს „ასკენგელ ალიანსის“ განხორციელებული აქვს ახალი მანქანა დანადგარების მონტაჟი და საქმიანობა ახდენს მათი გამოყენებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის ფაქტზე, 2023 წლის 29 სექტემბერს, შპს „ასკენგელ ალიანსის“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 797-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №082585 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნება ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხები) გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუმი, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 26.19.15.034; ფართობი: 30 294 მ<sup>2</sup>). გზშ-ის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული იყო: 2 სასაწყობე შენობა, ადმინისტრაციული შენობა, საკონტროლო გამშვები პუნქტი, სასწორი, ავტოსადგომი, 4 ერთეული სამარაგე სილოსი (თითოეული 150 ტონა). საწარმოს ტერიტორია მთლიანად მობეტონებულია, ხოლო ტერიტორიის მცირე ნაწილზე წარმოდგენილია საწარმოს გამწვანების მიზნით გაშენებული გაზონები. საწარმოს განთავსების ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 250 მეტრით, ხოლო მდ. ნატანები-64 მეტრით. საწარმოს ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, სამხრეთით საავტომობილო გრუნტის გზა, ხოლო დასავლეთით შპს „გეომაგინვესტპრომის“ საკუთრებაში არსებული, ყოფილი კაოლინის საწარმო, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრიან ზონაში მსგავსი პროფილის საწარმოები არ ფუნქციონირებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელდა ახალი ტექნოლოგიური ხაზების და შესაბამისი დანადგარების მონტაჟი (გაცრის, ავტომატური შეფუთვის და კონტეინერული დატვირთვის), ასევე შეიცვალა ბენტონიტური თიხების გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესი და შემცირდა საწარმოს წარმადობა (76 800 ტონიდან 60 000 ტონამდე).

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, კარიერზე მოპოვებული ბენტონიტური თიხის საწარმოში ტრანსპორტირებამდე გათვალისწინებული იყო ნედლეულის დასაწყობება შუალედურ სასაწყობე შენობაში, 35%-მდე ბუნებრივი შრობისთვის. საბაზისო პროექტის მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებდა საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობებული თიხის მიმდებ ბუნკერში ჩატვირთვას, რის შემდგომ, თიხა ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდებოდა ქვის მოსაშორებელ დანადგარს, საიდანაც თიხის მიწოდება, ასევე ლენტური ტრანსპორტიორით გათვალისწინებული იყო თიხის საჭრელ-დასაქუცმაცებელ დანადგარში, ნედლეულის დაქუცმაცებისა და დარჩენილი ქვების და კენჭებისგან გაწმენდისთვის. ტექნოლოგიური პროცესის შემდგომ ეტაპზე განსაზღვრული იყო თიხის გამდიდრება სოდიტ და მიწოდება საშრობ ლუმელში, სადაც ხდებოდა ნედლეულის შრობა მაღალ ტემპერატურაზე და გამომშრალი თიხა, შემდგომი გადამამუშავებისთვის ლენტური ტრანსპორტიორით გადადიოდა დახურულ სასაწყობე შენობაში. გამომშრალი თიხა სასაწყობე შენობიდან დახურული ტრანსპორტიორის საშუალებით იყრებოდა ე.წ ქანქარებიან წისქვილში (წარმადობა 20 ტ/სთ), სადაც მოთხოვნის შესაბამისად ხდებოდა პროდუქციის დაფქვა სხვადასხვა ფრაქციებად. საშრობი ლუმელი და ქანქარებიანი წისქვილი, მათგან გამომავალი აირმტვერნარევის გაწმენდისთვის აღჭურვილი იყო მშრალი სახელოებიანი ფილტრებით (ეფექტურობა 99,9%). წისქვილიდან გამოსული პროდუქცია დახურული ტრანსპორტიორის მეშვეობით იყრებოდა სილოსებში, საიდანაც მზა პროდუქცია

მიეწოდებოდა მომხმარებლებს სპეციალური სატვირთო ავტომობილების (ცემენტმზიდების) მეშვეობით.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელდა ახალი ტექნოლოგიური ხაზების (გაცრის, ავტომატური შეფუთვის და კონტეინერული დატვირთვის) მონტაჟი და შესაბამისად შეიცვალა გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესი. კერძოდ, კარიერზე მოპოვებული ნედლეული (ბენტონიტური თიხა) იტვირთება „კრაზის“ ტიპის საშუალო ტვირთამწეობის თვითმცლელელებზე და იგზავნება კარიერიდან დაახლოებით 0,4 კმ-ში მდებარე, კომპანიის კუთვნილ, შუალედურ საწყობში, სადაც ხდება ნედლეულის პირველადი დამუშავება-დაქუცმაცება თიხის მჭრელით და დროებით განთავსება ბუნებრივი შრობისთვის 28-40 %-მდე. ხარისხების მიხედვით დასაწყობებული ნედლეული იტვირთება „მაზის“ ტიპის თვითმცლელელებზე და შეკვეთის შესაბამისად იგზავნება შპს „ასკანგელ ალიანსის“ საწარმოში.

დოკუმენტის თანახმად, საწყის ეტაპზე, ხდება საწარმოში მიღებული ნედლეულის აწონა, ხოლო შემდგომ ნედლეულის სოდით ან სოდით და მაგნიუმით აქტივაცია და დასაწყობება. აქტივაციის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება ნედლეულის შრობის პროცესი, კერძოდ ფრონტალური დამტვირთველის მეშვეობით ხდება ნედლეულის მიმღები ბუნკერის შევსება. მიმღები ბუნკერი აღჭურვილია ლითონის ფირფიტებიანი ტრანსპორტიორით, რომელიც ნედლეულს გადაადგილებს თათებიანი გამაფხვიერებლისაკენ, რომლის მუშაობის შედეგად გაფხვიერებული ნედლი თიხა იყრება პირველ ლენტურ ტრანსპორტიორზე და მიემართება ქვის სეპარატორისკენ, რომელშიც გამოცალკევებული ქვები იყრება ლითონის ავზში, ხოლო დაქუცმაცებული ნედლეული მე-2 ლენტური ტრანსპორტიორით გადაიტვირთება შემრევში, რომელიც ახდენს ნედლეულის კალიბრაციას. შემრევიდან ნედლეული მესამე ლენტური ტრანსპორტიორით გადაიტვირთება საშრობ დოლში, რომელზეც მოწყობილია მტვრის დამჭერი აირგამწმენდი სისტემა, რომელიც წარმოქმნილი მტვრის ფილტრაციას ახდენს ქსოვილოვანი სახელოებიანი ფილტრების საშუალებით. საშრობი დოლიდან გამოსული გამშრალი გრანული მე-4, მე-5 და მე-6 ლენტური ტრანსპორტიორებით იტვირთება დასასაწყობებელ ტერიტორიისკენ. გამშრალი გრანული ფრონტალური დამტვირთველის მეშვეობით გადაიტვირთება საკონტეინერე დამტვირთველის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორების მეშვეობით ჩაიტვირთება, სასწორზე მოთავსებულ საზღვაო კონტეინერში. ამასთან კონკრეტული შეკვეთის მიხედვით გამშრალი გრანული მიემართება შესაბამის ტექნოლოგიურ ხაზზე, სათანადო დანიშნულების პროდუქტის მისაღებად.

დოკუმენტის თანახმად, ტექნოლოგიური პროცესის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს გამომშრალი თიხის დაფქვა. სათანადო დონემდე გამომშრალი თიხა იფქვება წვრილდისპერსულად, საწარმოო შენობაში არსებულ ტექნოლოგიურ ხაზში. ფრონტალური დამტვირთველი შენობაში დასაწყობებულ გამშრალ გრანულს ჩატვირთავს წისქვილის მიმღებ ბუნკერში (წისქვილის წარმადობა 15ტ/სთ), საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით, გრანული გადაიტვირთება სიმადლეზე ამტან „ნორიოს“ ტიპის დახურულ კოვშიან/ჯამებიან ტრანსპორტიორში, რომლის მეშვეობით გრანული

მოთავსდება წისქვილის მკვებავ ბუნკერში და დოზირებულად მიეწოდება საფქვავ დოლსა და ქანქარებს. დაფუძნებული პროდუქცია პნევმოტრანსპორტირებით გადაისროლება ასპირაციულ ფილტრში, საიდანაც ჰაერისგან გამოცალკევებული პროდუქცია დახურული ტრანსპორტიორის მეშვეობით გადის ძირითადი შენობის გარეთ და „ნორიოს“ ტიპის ტრანსპორტიორით იტვირთება სასილოსე მეურნეობაში, სადაც ნაცვლად გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული 4 ერთეული 150 ტონიანი სილოსის ნაცვლად, მოწყობილია 4 ერთეული 100 ტონიანი სილოსი. სასილოსე მეურნეობიდან გაცრილი თიხა დახურული ხრახნული ტრანსპორტიორით გადაიტვირთება შემფუთ საამქროში (საწყობი) სადაც განთავსებულია როგორც ბიგ-ბეგის, ისე პატარა ტომრების ავტომატიზებული დამტვირთველები. დაფასოებული პროდუქცია ჩანგლიანი დამტვირთველის მეშვეობით საწყობდება და გადაზიდვისას იტვირთება სამანქანე ბორტზე. სასილოსე მეურნეობის ქვეშ, ასევე განთავსებულია არავტომატური-ხელის ბიგ-ბეგების დამტვირთველი, რომლიდანაც დაფასოებული პროდუქცია ჩანგლიანი დამტვირთველის მეშვეობით საწყობდება და გადაზიდვისას იტვირთება სამანქანე ბორტზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ასევე მოიცავს გამშრალი გრანულის გაცრას, კერძოდ გრანული ფრონტალური დამტვირთველის მეშვეობით გადაიტვირთება საცერის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ხრახნული ტრანსპორტიორის მეშვეობით ჩაიტვირთება საცერში და გაცრის შედეგად, გამოცალკევებული მისაღები კალიბრის გრანული, ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით გადაიტვირთება შესაფუთ ბუნკერში, რომლიდანაც ხდება პროდუქციის დაფასობა როგორც ბიგ-ბეგებში, ასევე 25 კგ-იან ტომრებში. მზა პროდუქცია ჩანგლიანი დამტვირთველის მეშვეობით საწყობდება და გადაზიდვისას იტვირთება სამანქანე ბორტზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გაცრისა და დაფქვის ტექნოლოგიური ხაზებს შორის, საწარმოს შენობის ჩრდილოეთ კედელთან მოეწყო ნაყარი სახით გამომშრალი ბენტონიტური თიხის გრანულის დასატვირთი ხაზი. აღნიშნული ხაზი შედგება ბუნკერისა და ლენტური ტრანსპორტიორისაგან. კონტეინერზე დასატვირთი პროდუქცია დამტვირთველით ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში და ლენტური ტრანსპორტიორით გადის საწარმოო შენობის გარეთ სათანადო დახურულ ბაქანზე განთავსებულ კონტეინერზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში შემცირდა ბენტონიტური თიხების გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობა, კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, საწარმო 96 000 ტონა ბენტონიტური თიხის გადამამუშავებით იღებდა 76 800 ტონა პროდუქციას, ხოლო ცვლილების შემდგომ 80 000 ტონა ნედლეულის გადამამუშავებით საწარმო მიიღებს 60 000 ტონა პროდუქციას (გრანული 36 000 ტონა, დაფუძნული - 24 000 ტონა). საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღე, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, ნაცვლად საბაზისო პროექტით გათვალისწინებული 16 საათიანი სამუშაო რეჟიმისა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბენტონიტური თიხების გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: არაორგანული მტვერი, აზოტის დიოქსიდი და ნახშირჟანგი. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოწყობილი დამატებითი ტექნოლოგიური ხაზები (გაცრის, შეფუთვისა და კონტეინერის დატვირთვის) განთავსებულია დახურულ შენობებში და საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა ხორციელდება მხოლოდ გამფრქვევი მილების მეშვეობით, შესაბამისად საწარმოს არ დამატებია ორგანიზებული გაფრქვევის წყაროები და არ შეცვლილა გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები, ასევე საწარმოში დამონტაჟებულ დანადგარებს გააჩნიათ მაღალეფექტური აირგამწმენდი სისტემები და ფილტრები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში შემცირდა საწარმოს წარმადობა (76 800 ტონიდან 60 000 ტონამდე). ამასთან, საბაზისო პროექტით გათვალისწინებული იყო საწარმოდან მზა პროდუქციის გატანა ცემენტშიდით, სადაც მზა დაფქული ბენტონიტური თიხის დატვირთვა გათვალისწინებულია ღია ცის ქვეშ მოწყობილი გადასატვირთი წერტილიდან, რასაც მეტი ემისია ახასიათებს ვიდრე დაფასოებული პროდუქტის გატანას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები, უახლოეს მოსახლემდე (250 მ), არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის წყაროს წარმოადგენს: მომუშავე დამტვირთველი, საშრობი დოლი, საფქვავე წისქვილი, გაცრის დანადგარი და ნედლეულის შემომტანი და გამტანი სატვირთოები. ჩატარებული გაანგარიშებების მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (250 მ) საწარმოში მოწყობილი დანადგარ-მექანიზმების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური დონე იქნება 58 დბა. ამასთან, უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე წარმოდგენილია სხვადასხვა ბუნებრივი ბარიერები (ხე-მცენარეები და შენობა-ნაგებობები), რომლებიც შეამცირებენ ხმაურის დონეს 40 დბა-მდე, რაც არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბენტონიტური თიხების საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, საშიში გეოლოგიური პროცესების წარმოქმნა/განვითარებას ადგილი არ ჰქონია და საწარმოს ტერიტორია გეოლოგიურად სტაბილურია. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ადგილი არ ჰქონია ახალი ტერიტორიების ათვისებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები არ ყოფილა დაკავშირებული საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკის ზრდასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ნატანები დაშორებულია დაახლოებით 64 მეტრით. ბენტონიტური თიხების გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესი არ ითვალისწინებს წყლის გამოყენებას, შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. საწარმოს ტერიტორიაზე წყლის გამოყენება ხდება მხოლოდ სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, რისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია ჭაბურღილი, რაზეც სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს გააჩნია წყალსარგებლობის ლიცენზია. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით მოწყობილია ბეტონის ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმო, რომლის გაწმენდა ხდება პერიოდულად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია მობეტონებულია, თავისუფალია მცენარეული საფარისგან და არ გამოირჩევა ცხოველთა მრავალფეროვნებით. ამასთან, განხორციელებული სამუშაოების ეტაპზე არ მომხდარა ახალი ტერიტორიების ათვისება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები არ ყოფილა დაკავშირებული ნიადაგზე/გრუნტზე და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ზრდასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ასკენგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ბენტონიტური თიხების

გადამუშავება) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ასკენგელ ალიანსი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2023 წლის 12 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №458/ს; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №12) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ასკენგელ ალიანსი“ ვალდებულია, 2 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
4. შპს „ასკენგელ ალიანსი“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2023 წლის 12 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №458/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ასკენგელ ალიანსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ასკენგელ ალიანსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

